ოქმი N1

ხობის მუნიციპალიტეტის მეექვსე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 18 ნოემბერი 2025 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. გიორგი გვასალია
3. გივი ლატარია
4. აკაკი მალანია
5. აკაკი ხურცილავა
6. ალიოშა საჯაია
7. მიმოზა ლემონჯავა
8. ლაშა ცატავა

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის რ. ზაქარაიას 2025 წლის 17 ნოემბრის N50-502532187 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8 ; წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა განაცხადა, რომ ცვლილება შედის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების ფუნქციებში, კერძოდ საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კოორდინაციას გაუწევს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიების მუშაობას; ხოლო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები კოორდინაციას გაუწევენ საკრებულოს განათლების, კულტურის და სოციალურ საკითხთა და ინფრასტრუქტურისა და სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების კომისიების მუშაობას საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;

ზემო აღნიშნული ცვლილებების ასახვის მიზნით კომისიის მიერ მომზადა დადგენილების პროექტი: “ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: **8** ; წინააღმდეგი: **არც ერთი**

დაადგინეს: “ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის რ. ზაქარაიას 2025 წლის 17 ნოემბრის N50-502532187 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს, გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რომლის საფუძველზეც 2026 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 24515,3 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის საწყის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2026 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1446,2 ათასი ლარით (6,3 %-ით).

2026 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 16058,0 ათასი ლარით;
- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 6900,0 ათას ლარს;

2026 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 302,4 ათასი ლარამდე.
- შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 680,0 ათასი ლარის ოდენობით.

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 134,9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 440,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 60,0 ათას ლარს;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 24575,3 ათას ლარს (2025 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 1451,2 ათასი ლარით).

2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები ისეთი მიმართულებებით, საკრებულოს, მერიისა და იურიდიული პირების თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება - 6731,2 ათასი ლარი; მათ შორის:
- დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 1294,1 ათასი ლარი;
- განათლება - 3923,1 ათასი ლარი, მათ შორის:
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 4162,7 ათასი ლარი.
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1206,3 ათასი ლარი,

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: **8** ; წინააღმდეგი: **არც ერთი**

დაადგინეს: კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია „ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საჯარო განხილვაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე მედეა თათარიშვილი